შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა
პროგრესი-ბათუმი
LTD AMERICAN INTERNATIONAL SCHOOL
PROGRESS BATUMI

№ 00008729

02/06/2025

ბრძანება

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი ბათუმი"-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი ბათუმი"-ს შინაგანაწესისა და თამანდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს 08.04.2024 წლის ბრძანება 01-03/53 დამტკიცებული შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი ბათუმის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
2. დამტკიცდეს შპს **ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმი"-ს** შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა ამ ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;
3. დაევალოს, კომპანიის ყველა თანამშრომელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
4. დაევალოს, საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების სამსახურის მენეჯერს, მოახდინოს ამ ბრძანების აღსრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება;
5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა
პროგრესი-ბათუმი
გენერალური დირექტორი
ჩიკვაშვილი ნინო

infobatumi@schoolprogress.ge
schoolprogress.ge
ვ.შამიდავის ქ.30
ბათუმი, საქართველო

PROGRESS
AMERICAN
SCHOOLS

შპს ამერიკული საერთაშორისოსკოლა პროგრესი - ბათუმი ს/კ 445740075
ქ. ბათუმი/ვახტანგ შამილაძის ქ.#30
infobatumi@schoolprogress.ge

დანართი 1.

02 ივნისი, 2025 წელი

დამტკიცებულია

შპს ამერიკული საერთაშორისი სკოლა პროგრესი-ბათუმი“ -ს დირექტორის

ნინო ჩიკვაშვილის მიერ:

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი

შესავალი

შპს **ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი“** -ს პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის (შემდეგში „შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა”) მართვის სისტემა უზრუნველყოფს: კომპანიის პერსონალის და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაცვას, უსაფრთხო შრომას, ჯანმრთელობისთვის ნეგატიური ფაქტორების სწრაფ გამოვლენას, რისკების შეფასებას და ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საზიანო ფაქტორების ზემოქმედების შემცირება/აღმოფხვრას. დოკუმენტში ასახული პრაქტიკული ნორმების დაცვა სავალდებულოა კომპანიის პერსონალის, მომხმარებლის და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთათვის გამოსაყენებლად, შესაბამისი პასუხისმგებლობის ფარგლებში. კომპანიის ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ თანაზომიერად დაიცვას სამუშაო სივრცეში მყოფი ყველა დასაქმებული/მესამე პირი, იმ საფრთხის შემცველი ფაქტორებისგან, რომელიც მავნეა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და რომელიც შესაძლოა, წარმოიშვას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან/და სამუშაო სივრცეში მათი ყოფნის პერიოდში. კომპანიაში შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის ინსტრუქტაჟები, რომელიც მუშაობის პროცესში განიცდის კორექტირებას, რაც დამოკიდებულია არსებული ფაქტორების ცვლილებებზე.

.

პოლიტიკის გავრცელების სფეროები:

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება კომპანიის წარმოებული აქტივობების ყველა სფეროზე, მიუხედავად ამ აქტივობების შინაარსის, დანიშნულების, ტერიტორიული განლაგებისა და ფუნქციური დაქვემდებარებისა. კომპანიის სამუშაო სივრცეში არსებული ყველა პირი, ასევე ქონება და კომპანიის საქმიანობებიდან გამომდინარე, გარემოს პირობების დაცვა მოცულია ამ პოლიტიკით. პოლიტიკით განსაზღვრული დებულებები მოქმედებს იმავე დატვირთვით კომპანიის სამუშაო სივრცეში კომპანიის ნებართვით მოქმედ ყველა კონტრაქტორზე, როგორც კომპანიის დასაქმებულებზე. კომპანიის სამუშაო სივრცეში კონტრაქტორი კომპანიის დასაქმებულები და აღნიშნულ პროცესში მონაწილე კონტრაქტორი შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და რისკების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს კომპანიის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან;

ბ) სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოს კომპანიის წარმომადგენლებთან საქმიანობის კოორდინაცია;

გ) კომპანიასთან გაცვალოს ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული რისკების შესახებ;

დ) საკუთარ დასაქმებულებს ან/და მათ დასაქმებულთა წარმომადგენელს, ასევე კომპანიის დასაქმებულებს მიაწოდოს ინფორმაცია რისკების და საფრთხეების შესახებ;

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები

შპს **ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი"** -ში შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზანია, სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა. ამასთან, დასახული მიზნების შესაბამისად, ვიღებთ ვალდებულებას დავაწესოთ მკაცრი კონტროლი შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტ და ჯეროვან შესრულებაზე; ჩვენი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები მოიცავს შპს **„ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი"** -ს საქმიანობისას მოქმედ წესებსა და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო პროცესში დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

შრომის უსაფრთხოებაზე მოთხოვნების დაცვა ტერიტორიაზე სავალდებულოა, როგორც დასაქმებულთათვის, ასევე სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემსრულებლებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ შპს **„ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი"** -ს ტერიტორიაზე. შრომის უსაფრთხოებაზე მოთხოვნების დაცვა ასევე სავალდებულოა, ნებისმიერი სხვა პირისათვის, რომელიც იმყოფება შპს **ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი"** -ს ტერიტორიაზე.

კომპანია დასახული მიზნის მისაღწევად ღებულობს შემდეგ ვალდებულებებს:

- საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება და შრომის უსაფრთხოების სფეროში სხვისი გამოცდილების და რეკომენდაციების გათვალისწინება;
- შრომის უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება, სამუშაო სივრცეში საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებისა და აღმოფხვრის გზით;
- შრომის უსაფრთხოების სფეროში სიახლეებზე მუდმივი თვალყურის დევნა და მათი გათვალისწინება კომპანიის -ის საქმიანობის ფარგლებში;
- შპს **„ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი"** -ს ხელმძღვანელობისა და დასაქმებულებს შორის უწყვეტი ორმხრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე ინფორმაციის რეგულარულად მიწოდების უზრუნველყოფა;
- შრომის უსაფრთხოების წესების და მოთხოვნების შესრულების მუდმივი კონტროლი.
- სამუშაო პირობების და შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირებზე და უწყებებზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- თანამშრომლებზე პასუხისმგებლობების და მოვალეობების რაციონალური განაწილება;
- შეფასებული მაღალი დონის რისკების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა-შესრულება;

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საწარმოო ინციდენტების და შემთხვევების მინიმუმამდე შემცირების მიზნით;
- სამუშაოების ეფექტურად და მომგებიანად განხორციელებას, შრომის უსაფრთხოებას, გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის საუკეთესო ბალანსის დამყარების გზით;

შპს „ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმი“ -ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა

შპს **„ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმი“** იღებს პასუხისმგებლობას შრომის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი ნორმების, ეროვნული თუ შიდა წესების შესრულების მიზნით აწარმოოს შრომის უსაფრთხოების მართვა. კომპანიის ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივ რეჟიმში განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები. შრომის უსაფრთხოების სიტემის მთავარ ელემენტებად განვიხილავთ პოლიტიკის ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სიტემა აგებულია შემდეგ მოდელზე (იხ. ცხრილი)

PDCA	ქმედება
დაგეგმე PLAN	განსაზღვრე პოლიტიკა/დაგეგმე მისი დანერგვა
გააკეთე DO	გააანალიზე რისკები/მოახდინე შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზება/განახორციელე გეგმა
შეამოწმე CHECK	გაზომე შესრულების ხარისხი (აწარმოე დაკვირვება შემთხვევების არ არსებობისას, გამოიძიე შემთხვევები)
იმოქმედე ACT	განიხილე შესრულეების ხარისხი/იმოქმედე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით

შრომის უსაფრხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა მოიცავს სამ ძირითად ელემენტს:

1. დასაქმებულთა ჯანმრთელობა;

2. დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება;

3. საყოფაცხოვრებო პირობები.

შესაბამისად, დასაქმებულთა ჯანმრთელობა შეიძლება მიჩნეულ იქნას დაავადებისა ან ავადმყოფობის არარსებობად. ჯანმრთელობა უკავშირდება როგორც სხეულს, ისე გონებას და მოიცავს ფიზიკურ (როგორიცაა სიმსივნე, მოტეხილობა...) და ფსიქიკურ (როგორიცაა სტრესი, დეპრესია...) ავადმყოფობას.

დასაქმებულთა უსაფრთხოება - სამუშაო ადგილის მდგომარეობა, რომელიც არ წარმოქმნის სხეულის დაზიანების რისკს.

საყოფაცხოვრებო პირობები - საბაზისო საყოფაცხოვრებო საშუალებებით უზრუნველყოფა. ეს საშუალებები მოიცავენ სასმელ წყალს, მოსასვენებელ ადგილებს, სანიტარულ-ჰიგიენურ ფართებს და სხვა.

შპს **„ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი-ბათუმი“** იხელმძღვანელებს რისკის შეფასების იმ სისტემით, რომელიც დანერგილია საქართველოს მინისტრის, 30/01/2020, ბრძანებით „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიით და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, რისკის შეფასებას, საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრას და დანერგვას, შემდგომ მონიტორინგს და სისტემის ეფექტიანობის შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას;

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა დანერგილია შემდეგი მიზეზების გამო:

1. მორალური მიზეზი - ადამიანებისთვის მორალურად მიუღებელია სამუშაოზე ყოფნის დროს ტრავმის მიღება. მომხდარი ფატალური უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები და მათი შედეგები წარმოადგენენ დასაქმებულთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის, საქმის პროდუქტიულად შესრულების ნაკლებობის მიზეზს.

2. ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები - შრომის უსაფრთოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული რეგულაციები წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ ნორმებს და მუდმივად მზადაა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

3. ფინანსური ხარჯები - უბედური შემთხვევების დადგომის შედეგად, კომპანია მიიღებს ისეთ ფინანსურ ზარალს, როგორიცაა: ზიანის ანაზღაურება, დასაქმებულის შრომისუუნარობით მიღბული ფინანსური ზარალი და სხვა.

4. არაფინანსური ხარჯები - კომპანიას ს გააზრებული აქვს მორალური პასუხისმგებლობა, რომ შრომის უსაფრთოების წესების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს პარტნიორებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა და ზიანი მიადგეს მის საქმიანობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიმუშავა წინამდებარე შრომის უსაფრთოების პოლიტიკის დოკუმენტი.

დოკუმენტი შედგენილია თანამშრომლებისთვის სავალდებულოდ გასაცნობად და შემდგომში აღნიშნული დოკუმენტის თანახმად სათანადო ღონისძიებების დასაგეგმად და გასატარებლად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის თანამშრომელთა პროფესიული ჯანმრთელობა და შრომის უსაფრთხოება. დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა პასუხისმგებლობა სავალდებულოა კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის შესასრულებლად და გასათვალისწინებლად.